ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 12



„ისევ და ისევ ღვინითა
დრო გავატაროთ ლხინითა!“.

რათ გვინდა ქტლში რომ გვებას
გიჟი და ურჩი ცხენები,
პირუტყვნი ვათავისუფლოთ
ქტლში შევაბათ გლეხები.

დავსაძახოთ ჭარი არალი
გმირებო ნეტავი ჩვენა,
გლეხებს მივცხოთ მათრახები;
დღეს გვედირსა შვება ლხენა!!

ვინც რომ კი ერთხელ იგემა
ბატონ-ყმობის გემოვნება,
გლეხს ვინ გაანთავისუფლებს
მონათ მას ვინ შეედრება??

მაშ ისევ, ისევ გლეხითა
დრო გავატაროთ ლხენითა,
ბიუროკრატნი ვქეიფობთ,
ხაბარდა, ჩამოდექით!!

ჭიტა.

## საამდროვო ნანა.

ნანა შე ძაღლის ლეკვო,
ნანა, ჩაიძილქუშე
კლუბში მაგვიანდება
ნერვები ამიფუშე.
აი ღმერთმაც დაგლახვროს
სულ სჩხავი და ღრიალებ,
რა ეშმაკი ჩაგიძვრა
რო თვალებს აბრიალებ.
მამა შენი ბანდურა
დოყლაპია, ხეპერა
სულ წიგნებს ჩასჩიჩინებს,
იმან გამოაშტერა.
დაჩუმდი შე სამიწევ
თორემ მზეს დაგიბნელებ,
ამოგაძრობ აკვნიდან
და კარგათ დაგარბილებ.
ნეტა რა შავ-ქვათ გაჩნდი
რა შავ-ჭირად მინდიხარ?
ამ სამიწეს გულისთვის
ველარსად ვერ მივდივარ!
ძლივს არ ჩაიძილქუშა
ამ ძაღლის შეთუთხნულმა?
აბა ამის შემყურემ
რით გაიხაროს გულმა?
ახლა კი მოვირთვები,
მოვილომაზებ პირსა
კოლდე-კრემით დავიზელ
წავისვამ გლიცერინსა.
მერე ფერ-უმარილით
ლოყებს შევივარდისფრებ
ალისფერ პუდრს დავიყრი
კავებს შევიხუჭუჭებ,

კლუბში ვნახავ გვრიტიკოს
და გულში ჩამეკვრება,
შენ ემანდ იძილქუშე
თვალებიც გამოგძვრება.

ნარკანი.

## გამოიმასქნილებული.

ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომელსაც სჭირია ანგარიშის გაწევა, აწონ-დაწონვა, დაფასება, სალანძღავის გალანძღვა, საქებარის ქება. ერთი სიტყვით მოკლეთ რომ მოგახსენოთ იმერული ტერმინით ჩვ ნი მიზანი იქნება ,,გამოიმასქნა''. ვეცდებით ამ სათაურით ხანდახან ვეჩვენოთ ჩვენს მკითხველებს და გამოიმასვქნათ, გამოიმასაქნილებელი.

* * *

ვახსენოთ ეშმაკი და მივადგეთ დუმას (სახელმწიფოს რასაკვირველია) როგორც უკვე ვიცით ,,ჯვარით, ცულით და მათრახით, ლოცვით და დიდის გინებით'' მოწვეული დუმა უკვე მოქმედობს, მართალია დეპუტატების უმეტესობამ დუმაში შეიტანა ,,მგლისტყავი, დათვის ტორები''...—მთავრობაც თუ პირველ ორ დუმას ცოტა ეარშიყებოდა, ებოდიშებოდა მესამე დუმას კი თავზე აბრაგიდელი გადააყარა ,,ციცო'' დაუყვირა. არიან დუმაში მცირე რიცხვი მემარცხნეების, რომელზედაც მემარჯვენეებმა იძიეს შური, გადაუხადეს მაგიერი და მათ დუმილის მეტი არაფერი არ დარჩენიათ. თუ რამე წამოსცდათ მაგალითად როგორც როდიჩევს წამოცდა ისტორიული სიტყვა ,,სტოლიპინის გალსტუკი'' (როგორც ამბობენ ძრიელ ვიწროა თურმე) მაშინვე მარჯვნივ ატყდება ერთი აურზაური, ლანძღვა-გინება, მუშტი-კრივი ასე იფიქრებ პარლამენტში კი არა რუსულ ,,კაბაკში'' ვზივართო. ხო და წამოსცდა თუ არა საწყალ როდიჩევს ეს სიტყვები, ამართეს მემარჯვენეებმა მარჯვნით მარჯვენე, მადლი ალლახს რომ ქვები არ იყო იქ თორემ იქვე ჩააქვაბდნენ. მთავარ ვეზირმაც შეიფერა ,,გალსტუკის'' ხსენებამ მასაც ძრიელ მოუჭირა კისერში და სეკუნდანტებს დაუწყო ძებნა... წაალებინეს როდიჩევს სიტყვა უკან მაგრამ მან უკვდავ გალილეისავით გაიმეორა ,,ქვეყანა მაინც ტრიალებსო''. ბოლოში კი მოიხადა მაგრამ 15 სხდომის დასწრების უფლება მაინც წაართვეს და ამ რიგად ორი თვით ,,დასდევს საცო პირსა მისსა და კარი ნელი ბაგეთა''. ჯერ-ჯერობით საქმე ისეა რომ მესამე დუმის შესახებ შეგვიძლია თამამათ ვთქვათ ,,დუმა პურიშკევიჩისათვის, პურიშკევიჩი დუმისთვის, ორივე „გამოიმასქნილებულისათვის''.

* * *

იმ დროს როცა მესამე დუმის დეპუტატები თავიანთ გამარჯვებას დღესასწაულობენ ურა, ურას ყვირიან, ამ დროს იქვე მეორე დარბაზში ასამართლებენ მეორე დუმის დეპუტატებს. ,,სუდი'' არის ,,სწორი, ჩქარი და მართალი'' სისწორე და სიმართლე გამოიჩინეს იმით რომ სასამართლოს დარბაზში არავინ არ შეუშვეს საქმე ,,კონტრაბანდათ'' გაარჩიეს, სიჩქარეში კი აბა როგორ დაიწუნება ძლიერ ჩქარა ,,ქვეშიდგან ხელი მოაწერეს, ზევიდგან უკვე განჩინებულ განაჩენს''. მიუსაჯეს დიდ უმეტესობას კატორღა და გადასახლება. საქმის გარჩევას არ დასწრებია არც ბრალდებულები არც მათი დამცველები საქმის განსაჩივრებაც არ მოისურვეს ხალხის წარმომადგენლებმა, რადგან მათი საქმის გამრჩევი, დამწუნებელ-მომწონებელი ეს მათი ამრჩევი ხალხია და აპელაციაც იქ გადაიტანეს, მართალია დღეს ხალხი ძლიერ გამოიმასქნილებულია მაგრამ როცა ისევ გამოიმასიქს ვაი მაშინ მის გამოიმასმქნელს..

* * *

ერთი გამოიმასქნინებული საქმე ოზურგეთს დაემართა. მოგეხსენებათ დავით-ნიკოკისტებმა ოზურგეთი გააგუბერნიეს. ბევრი ეცადენ რეაქციის პირმშო შვილები, რომ შერჩენოდათ თავიანთი თბილი ადგილი, შეადგინეს პროექტი, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, მოიწვიეს მთელი გურიის თავად აზნაურნი, გამოსცეს მანიფესტი: ზოგს მამასახლისობა უბოძეს, ზოგს სტრაჟნიკობა უწყალობეს, ზოგსაც ,,საქურველთ მტვირთველობა'' დაავალეს, მაგრამ წაუხდათ თათბირი, ბოძებულ წყალობაზე გურიის კეთილშობილებმა ვარი განაცხადეს ,,სისხლიანიაო'' უმადურ მაძღრობას ,,კეთილშობილური'' შიმშილი ამჯობინეს. ასე ამა პირსა ზედა მთავრობას ,,ჩაუვარდა კოვზი ნაცარში'' თითო ოროლა გამოიმასქნილებული აქაც გამოერია რასაკვირველია.

თითონ ოზურგეთი ისევ ჩადგა თავის ძველ კალაპოტში, უბედური გამოდგა მისი ,,გუბერნიის ლოღოდობა''. ნამესტნიკის განკარგულებით უკვე გაუქმდა ტალმაჩოვობა. ოზურგეთი ისევ შეუერთეს ქუთაის როგორც ხმა დადის ,,ნიკოკისტობაც'' უქმდება თურმე ლეჩხუმში გადაყავთ ეხლა იქ ,,იშვამავლეო'' მაგრამ ჩვენ ეს არა გვწამს რომ დავითი უმრევლოთ გამოიმასქნან.

ხუტუა.

## გურული სცენა.

### ფოთელი ესიკაი.

— კაი ხანია მას მერე, წევიდა იგი დროი და ღვთის შემწეობიო და შენი კარგა ყოფნით აწი არც მობრუნდება მგონია... დილას გავალე დუქანი მარა ისე ადრეა, რომ სიფთეც არ მიქნია, გამეიარა პრიკაშჩიკობიდგან გამოგდებულმა ყაზილარმა, უწინ თავს რავა უკრავდი, მარა მაშინ სულ სხვაი დროი იყო, მივეცი მოწიწებით სალამი იმისთანა მორიდებული რომ გურიელს არ ღირსებია ჩემგან იმფერი.—გაგიმარჯოს ვასილ შენ და შენს ახალთაობას შენი საიმედო აფხანიკებით მეთქი მოვახსენე.

— შენი გამარჯვება ჩვენი დაპარცხებაა, ამიზა შენ გამარჯვებას არ გეტყვი შენ ბურჟუაძეო. მომენთო ცეხლი გულზე, მარა რავა ვიტყოდი რამეს ნავში მენავესთან ჩხუბი რავა ვარგოდა. ხომ აფერს მიბრძანებ მეთქი ვუთხარი. ბრძანება ბიუროკრატების საქმეა, ჩვენ გავალებთ დღეს მიტინგზე მოხვიდე და ერთი კონსპერაციიზა რაც შეგეძლოს შეგვეწიეო. ენა არ შემიბრუნებია მივეცი ცინცხალი თუმნიანი, ვიახელი მიტინგზე, ვინ გინდოდა რომ იქ არ იყო ვაჭრები, პრიკაშჩიკები, ზღვის და ხმელეთის მუშები, ერთ ხუცესს შამოესკვნა წელზე ანაფორა, გადიეცვა პალტო და იყო ისე ნამდვილი კაციფით, გევიდა სტოლზე ერთი ლურჯ ბლუზიანი პროპაგანდისტი და იპრაპაგანდისტა, მე ვარეს იტყოდა მეგონა, მარა აშენა ღმერთმა მისი ოჯახი, კერძო საკუთრება არავის არ წეერთმევა კიდეც მიემატებაო, აგია ჩვენი სოციალ-დემოკრატების პროგრამაო. შენ პირს ყორიფელი კაი თუ აფერი წამერთმევა და კიდეც მომემატება მაგას რა ჯობს, ჩემი ძვლები რომ აღარ იქნება მიწაში მაშინ გინდა ჩამაართვი გინდა ტყავი გააძვრე ვინც მაშინ იქნება ჩემი მემკვიდრის: მემკვიდრის-მემკვიდრე... იმის დარდი მაქ... წამევიდი, გეიხედავ მეორე დილას, მევიდა ახლა მეორე მარა უფრო მოსარიდებელი შით შვაგულ უპრავიდგან, დღეს ჩემო ძვირფასო ქართველო, მამულიშვილო, სოციალისტ-ფედერალისტების მიტინგია, კიდეც დიესწარი და ჩვენს ორგანიზაციას შენი წვრილიც შიეწიეო. დამხრინა მარა რას იქ!? იმისთანა სხვილებიდგან გამოგზავნილს უარს რავა ვკადრებდი, მივართვი გუტეხელი ოცდახუთიანი. რა მექნა, მეტი რა გზაი მქონდა მე ყველა პარტიის ვიყავი (ალსარებასავით გიჩივი) ან ერთი კი გემარჯვებს ან მეორე მეთქი ასე ვფიქრობდი, პრისტავიც არ მემდუროდა სუკს და ფილეინი კუსოკს იმასაც კი ვფეშქაშობდი პრისტავი ზაპასით მყავდა შემონახული. დიახ! გიახელი ახლა ფედერალისტების მიტინგზე, ბევრი არაკაცი დასწოია, უფრო მეტი ქალები იყო ქალები, მერე რა ქალები ყველაი მ ხ ილ მსხვ ლი კვერცხ მოწყ ბულ ბაღებსავით ჩასუქებული, კაცები მარტო უპრავისტები იყო, ევიდა სტოლზე ორატორი მარა ბლუზიანი, გამხმარი ფშიკორია კი არა ჩასუქებული, ჩაგალსტუკებული, ილაპარაკა

მარა რა ილაპარაკა ბრიგინ-ბრიგინი გაქონდა სულ, მარა თლა გამიხეთქა გული, რაც გაქ ყვილაი წაგერთმევა და სხვას გადიეცემა, ყ რიფელი თანასწორად გეიყოფება თითოს თორმეტ-თორმეტი ქცევა მიწა შეგხვდებაო. არ მიამა მარა როიცხა ეშველა და გაათავა წითელი პარასკევის სიგძე რეჩი, რავაც სხვამ ისე მეც დევუძახე ვაშა, ვაშა!! წამეველ შ ნ... ვიყავი ამ გაჭირებაში ხან ერთს მივყობოდი ხან მორეს, იპრიანა ღმერთმა და მუა ვა ოჯახაშენებული რედაქცია, მართალია ბევრის ოჯახი დაწვა და დააქცია, მარა ჩემი კი ააშენა დაჭირვის შიშით ვერავინ გამოჩნდა, ჯარის პოტრათი რავაც მინდოდა ისე დევირჩინე ახლა კი მივხდი რომ ყველა პარტიას გრეკოვის პარტია ჯობს და აწი თუ სხვაი აჯობებს, მეც გევიხსენებ და ძველებურა ჩემებურა ვიქნები, როცა დამჭირდება ძირს და ვაშას იმდენს ვიყვირებ რომ მგონი ახალციხელმა ვირმა ვერ მაჯობოს...

პიტნა.

---

## წერილი პროვინციელ ეშმაკებისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო! დღე მოსვენება არა მაქვს და ღამე ძილი. ვფიქრობ განუწყვეტლივ იმაზე, თუ რა ეშველება ჩვენს პროვინციას, რა გამოიყვანს ჩვენს მრევლს ამა ვითარი მდგომარეობისაგან.

ერთობის ფესვებზე მრავლად გაჩნდა ეგრედ წოდებული რეაქციის ფილოქსერა. ის დაუზოგველათ ღრნის და ახმობს კეთილდღეობის ძირებს. ცხადია ამ სენს ეჭირვება განსაკუთრებული წამალი და მედგარი ბრძოლა.

და აი გასულ ოთხშაბათს, უზენაეს ძალთა შთაგონებით მე შევამზადე ახალი და უებარი წამალი. ეს წამალი გახლავთ

„სპერმაკუდინი“.

— რა არის „სპერმაკუდინი“?

ვინც ბ-ნ ახობაძეს იცნობს და ერთხელ არის მაინც გამოუწერია მისი საუცხოვო „სპერმატინი“, ის ადვილათ მიხვდება თუ ძირითადათ რა ხასიათის იქნება ჩვენ მიერ მოგონილი წამალი „სპერმაკუდინი“ (გთხოვთ სიტყვის შესამოკლებლად პირდაპირ იხმაროთ „კუდინი“). მაგრამ შემცდარი იქნება ვინც სახელის ნათესაობასთან ერთად მოქმედებათა ერთგვარობასაც მოინდომებს ამ ორ წამლთაგან. ახობაძის „სპერმატინი“ არის გამოხარშული ხარის ბუშტები, ხოლო ჩემი „კუდინი“ არის გამოხარშული კუდი „ეშმაკის მათრახისა“. ამგვარათ ადვილი გასაგებია, რომ წამლებს სხვა და სხვა სამოქმედო ასპარეზი ექნებათ.

— რას უხდება სპერმატინი?

თუ ბ-ნთ მნაცაკანოვს და ივანე ბალანჩივაძეს დავუჯერებთ „სპერმატინი“ ახობაძისა უხდება ყოველგვარ სნეულებას ხორცისას და აგრეთვე სხვათა ცნობიდან სიმსუქნეს ჯიბისას.

— რას უხდება ჩემ მიერ მოგონილი „სპერმაკუდინი“?

ჯერ ჯერობით კარგათ დაცდილი არ არის, მაგრამ ერთი რამ უკვე საბოლოოთ გამორკვეულია. სახელდობრ ისა, რომ „კუდინი“ ახდენს მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ზნეობრივ ვითარებაზე საუცხოვოთ უხდება ავთა ზნეთა: ჯაშუშობისასა, შურიანობისასა, თვითნებობისასა, გარყვნილებისასა, გახრწნილობისასა, ფლიდობისასა, მყვლეფელობისასა, მექრთამეობისასა, მლიქვნელობისასა, მატყუარობისასა, ტრაბახობისასა, ქურდობისასა, მძარცველობისასა, ლოთობისასა, ცილის წამებისასა, ჩარჩობისასა, თავგასულობისასა, შანტაჟისტობისასა, მანიაკობისასა, კარტოჟნიკობისასა და სხვათა ბრავალთა მის მაგვართა

გარდა ამისა ახობაძის „სპერმატინი“ ღირს-ერთი პატარა შუშა, თორმეტი აბაზი ხოლო ჩემ მიერ მოგონილი „კუდინი“ კი უფასოთ ეგზავნება მსურველს.

ამასთანავე ახობაძის „სპერმატინი“ რომ ბევრი გასაღდეს, ამისთვის საჭიროა „ქების ოტზივი“ იმის მხრივ ვინც მას ხმარობს, ხოლო ჩვენი „სპერმაკუდინის“ ღირსება დაფასება მიმღებთა „ლანძღვის ოტზივით“.

ამხანაგებო! გთხოვთ „სპერმაკუდინის“ ხმარების დროს დიდი სიფრთხილე იხმაროთ, ვინაიდან ჩვენი აზრია განკურნება ზნეობრივი სენისა და არა გამიზეზება. გთხოვთ კარგად გამოიძიოთ ხასიათი სნეულებისა, რომ იმას შეუფარდოთ რაოდენობა „სპერმაკუდინის“ წვეთისა. გთხოვთ აგრეთვე იქონიოთ სახეში შემდეგი ჩემი დარიგება:

1) სასულიერო წოდებაზე იხმარება არა უმეტეს ათი წვეთისა.

2) „ზუბრებზე“ არა უმეტეს 28 წვეთისა.

3) ჩინოვნიკებზე არა უმეტეს 38 წვ.

4) პოლიციაზე 58 წვეთი.*)

5) ჯარის კაცზე „სპერმიკუდინის“ ხმარება აკრძალულია.

გამოწერა შეიძლება ახალ წლამდე. ფოსტის ადრესი სწორე უნდა იყოს და თუ მაინც დაიკარგება, სჩანს თითონ მოხელეს ექნება დანახარჯი, რისთვისაც ის პასუხს არ გაგებს.

მე უკვე მივიღე რამოდენიმე წერილები, რომელშიაც მწერენ: „გვიშველე რამე ბ-ნო ეშმაკო, ამ ახობაძის „სპერმატინმა“ არაფერი გვიშველა, მაგრამ გვეცხვენია და ვერ ვაცხადებთ, ზოგიერთ საიმედო გაზეთს რომ არ დაებეჭდა. განცხადება ჩვენ არ ვიყიდდითო. ახლა გამოგვიგზავნეთ თქვენი პატივცემული „სპერმაკუდინი“ ო.

ეს ალბათ ისეთივე შეცდომაა, როგორც „სპერმატინის“ გამოწერა, რადგან ჩვენს „სპერმაკუდინს“ თავისთვის არავინ არ გამოიწერს.

მარადის თქვენი **ეშმაკი**

P. S. საჭიროთ ვსთვლი აღვნიშნო, რომ თუ ვინმე ჩემგან რწმუნებულმა პირმა განზრახ ზედ მეტი, ან სნეულების გამოუძიებლად იხმარა „სპერმაკუდინი“, იმას თითონ მე მივაღებინებ შესაფერ რაოდენობას აღნიშნული წამლისას. **ე—კი.**

*) გთხოვთ გახსოვდეთ, რომ 60 წვეთს ადამიანის არსება ველარ უძლებს და თუ პაციენტმა ამასაც გაუძლო შემდეგ ის გადადის სხვა ცხოველთა რაზრიადში. ე—ი.

---

## ორჭოფობა თუ ორ სკამზე ჯდომა.

სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო, იტყოდენ და მე ეს სავსებით ამ დრომდის არ მჯეროდა. ვინ იცის, შეიძლება მიწაშიდაც ასე საეჭვოთ ჩამეტანა ეს ბრძნული ანდაზა, რომ ერთ უბრალო შემთხვევას არ დავერწმუნებინე იმის სინამდვილეში. საქმე იმაშია, რომ ხშირათ მესმოდა სიტყვა „ორ სკამზე ჯდომა“ და მისი ნამდვილი მნიშვნელობა, თურმე კი არ ვიცოდი. შეიძლება ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში, ეს ჩემთვის, თურმე, გაუგებარი თქმულება, მეც ბევრჯელ მეთქვას.

ახლა კი, ერთმა შემთხვევამ გამაგებია მისი ნამდვილი აზრი. მოგეხსენებათ კაცს მტერი ყავს, მარა კეთილის მყოფელიც არ გამოელევა თურმე. ერთი ამ გვარი კეთილის მყოფელი მეც აღმომიჩნდა და წამჩურჩულა; თუ გურული ხარ, მაგ „ეშმაკის მათრახში“ წერით, შენ ნაბუძგებს განახვებენო და ერთი არაკი მიამბო: — დღაბერი, ვინმე, შევიდა საყდარში და ღვთის მშობლის ხატს სანთელი აუნთო, იქვე ეშმაკი დაინახა დახატული და ერთი სანთელი მასაც შესწირა. კითხეს, — რას ნიშნავს ეშმაკის ასეთი პატივისცემაო? მან ასე აუხსნა: „თუ სამოთხეში დავრჩი, მარიამი ხომ მომადლიერებული მყავსო, თუ წახდა საქმე დ ჯოჯოხეთში ჩავედი, ეშმაკიც არ იქნება ჩემზე მწყრალათო“ — ასეა ჩემო ძმავო, თუ სწერ, ისე სწერე რომ „მათრახიც“ გემადლიერებოდეს და სამათრა-

ხის კუდეებსაც ნუ მოიმდურებ, თვარა ვინ იცის, საკმარისია ვინმე ზუგ აცხუნებულმა გურიაში შესთვალოს. რომ შენ неблагонадежный ბრძანდები და...... მადლობა უფალს რომ გურული არ ვიყავი, თვარა საფრთხე რამ თურმე, მომელოდა. თუმცა ერთიც კია,—ქურდი მთხრობელს რომ მიხვდება, ეს მთხრობელმაც კარგათ იცის ამ დროში და ამით დაიმედოვნებულმა ჩემს კეთილის მსურველს ასე მოვახსენე: სული სამოთხეში და ხელები ოქროებში რომ არ შეიძლება, ეს მეც ვიცი, ამ ორში, ვითარცა ცოდვილმა, ოქრო ვარჩიე და ეშმაკსაც იმიტომ შევაფარე თავი. მე კი გირჩევო, მითხრა მეგობარმა,რო ისეთი დროა აქეთაც უნდა იყო და იქითაცო, ახლა მოდაში ორ სკამზე ჯდომააო და მომშორდა. აი ამით მივხვდი რომ ორ სკამზე ჯდომა, თურმე მე რომ ორპოფობას ვეძახოდი ის ყოფილა, მხოლოთ საამდროოვოთ, ზრდილობიანათ ნათქმი. ასე რომ თუ გსურს ორპოფობა ისე თქვა, რომ თანაც ზრდილობაც ეტყობოდეს კილოს „ორ სკამზე ჯდომაო“ უნდა იხმარო. მაგალითათ: საქველ-მოქმედო საქმეზე ფულის მიცემა და შემდეგ ამაზე ჭორების თხზვა, რედაქტორობა და სიმართლის ვერ წერა სოიუზნიცობა და მეორე ბანაკში ტრიალი, ყველა ამას ამ დროში, ორ სკამზე ჯდომა უნდა დავუძახოთ. ასეა თუ ისე ხალხის მიერ გამოცდილობაზე აშენებული ანდაზა,—სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო, მართალი ყოფილა.

ბლიკვაძე.



ქურდის დასჯა სოფელში ერთობის დროს.

### ,,ერთობის‘‘ დროიდან.

ჩვენს ,,ერთობას‘‘ ბევრი ჰქონდა
ურიგო და კარგი მხარე...
ერთხელ, სოფლად მგზავრობისას
ასეთ ამბავს შევეყარე:
სახედარზე შეეჯდინათ
ქურდ-ბაცაცა უბედური,
და მნახველთა გასართობათ
სახეზე მოეცხოთ მური.
სოფლის დიდი თუ პატარა
ერთის გრძნობით გამსჭვალული,
თან მისდევდა ქურდ-ბაცაცას
იდგა ერთი ჟრიამული.
არ მეამა ეს სურათი...
დავგმე მათი საქციელი,
და ისევ გზას გავუდექი
ჩემი თავის მადრიელი.
დღეს კი, უცებ გამახსენდა
ჩვენი დროის ქურდ-მწერალა
პლაგიატს რო ეძახიან,
რო ჰლალატობს ჭკუის ძალა.
და თუ იმ დროს მოვესწარი
რომ ,,ერთობა‘‘ კვალად აღსდგეს,
იქნებ სოფლის სამართალი
ამ ქურდთათვის გამომადგეს.

—კი.

---

### ქუთაისის რამე რუმე.

ნოემბრის 20 გათენდა
რა ავი დარი დგებაო
ჩვენი ქალაქის კასირი
საომრად ემზადებაო.
ცარიელ კასას დარაჯობს
გვერდს გზა არ შეევლებაო,
მეფარნეს როცა შეხედავს
კუნჭულში იმალებაო!
გოროდოვოი თუ შეხვდა
ცახცახი აუტყდებაო,
მაგრად შიხურავს კასის კარს
და შიშით ველარ ჩნდებაო.

თუ „უჩიტელმა“ შესჩივლა:
რად მაყურყუტებ ტყვილაო,
ეტყვის:—„მოშორდი აქედან,
სხვაგან მოძებნე ბინაო!.
უჩიტელ სმატრიტელები
ღმერთმა კი შეარცხვინაო!
მდივანი, აგენტ, სტოროჟი,
ყველა თხოულობს ფულსაო,
სჯობს რომ წავიდე აქედან,
ნულარ მიწუხებ გულსაო!“
გამოჩნდა გზისა მუშაკი
დაიკაპიწა ხელიო
ილოცხლე, ჩვენსა, კასირსა,
მყისვე ეცვალა ფერიო!
კასის კარები მირეჯგვა
და დაიმალა სულაო,
მუშას კი შერჩა საპრალოს,
დაკაპიწება ტყვულაო!!.

ბასრი.



გორის პესტალოცები.

ჩინებული მოღვაწეა
ჩვენი გორის პესტალოცი,
კბილნი კაწკაწს დაუწყიან;
ოდეს მოახლოვდეს ოცი.

# ქ. ნიკობურგი

(ძველათ ფოთი).

დიდიხანია, რაც „კრეისერი“ დადუმდა და მას აქეთ ერთი რიგიანი მათრახი არ უგემებია „ყურადღების ღირსს“ ნიკობურგელთ.

რედაქციას ეცოდინება, მარა მე მკითხველებსაც მინდა გავაგებინო, როგორ გაჭივრებული გვაქვს საქმე გაუზნაურებული ფოთელებისგან საწყალ კორესპონდენტებს. ვაქებთ რამეზე და იმავ წამს გვიხირდებიან „სასაცილოთ გვიგდებენ თვარა საქებარი რა გვაქვს‘‘-ო, ვაგინებთ და მაშინ კუხალეიშვილი და მისი ჯანი, ხან ნახუტურში გვათევინებენ ღამეს და ხან ქალადიდის ტლოყოპოში. ბიჭი ხარ და ნუ გაიქცევი, თუ დაგიჭირეს კუხალეიშვილის მაგარი მასაჟის შემდეგ, მიგამწყვდევენ ფოთის ციხეთ წოდებულ ,,სალორეში‘‘; ხოლო იქ თუ ფეხი მოგიცდა გათავდა შენი საქმე! მამაცხონებული ციხის უფროსი დღე და ღამე **მაჭარაძის** დუქანში რუმბებზე გორავს. გაუგონია ჩინოვნიკის საქმე ლოთობა არისო და ის კი არ იცის, რომ დღე და ღამე თუ ღვინო სვა, ფოთში რაც ღვინოა ხელში ჩაელევა და სხვა თუ არ ეცოდვება ,,კირილ ზახარიჩ‘‘ და ძმ. მათნი მაინც უნდა შეიბრალოს.

ჰო, მე მართლა ჩემ მიზანს ავცდი... ისევ ფოთს დავუბრუნდები და ვეცდები რამე არ გამომრჩეს საყურადღებო ამბებში.

დუმის გახსნა, ახალი საგენერალ-გუბერნატოროს დაარსება და აქ გათეთრებული ნიკოლაძე-მეუნარგიას ქუთაისში გაშავებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურებზე და ამიტომ ჯერ აქედან დავიწყებ.

პირველ ნოემბერს, დუმის გახსნის დღეს, რომ დღესასწაულობა რამე არ მომხდარიყო, ან სკოლებში სწავლა არ შეჩერებულიყო, ან და მუშებს არ ეუქმებიათ ამისთვის თავიდან იყო შესაფერი ღონისძიება მიღებული; ერთმა „სოციალისტმა“ ზოქაულმა (გთხოვთ ლორთქიფანიძეზე ან აფაქიძეზე არავინ იფიქროთ) მითხრა შინაურულათ, რომ ამაზე ოზურგეთიდან იყო საკუთარი მოწერილობა მოსული და ჩვენ მხოლოთ შევასრულეთ ეს ბრძანებაო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ უბედურებასთან შედარებით, რომელიც, მადლობა ღმერთს გადაგვცილდა თავიდან. კინაღამ გამოგვტოვენ ქვეყანათა რიცხვიდან, კინაღამ არ გვარგუნეს ახალი რეფორმები და ისევ ძველი ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში დაგვტოვეს. ამით ერთი, რომ ქვეყანაში თავი მოგვეჭრებოდა და ფოთს რეაქციონურ ქალაქათ მოგვინათლავდენ, და მეორეთ ის მეგრელიასაც კი ჩამოშორდებოდა და მეგრელების ქალაქათ აღარ ჩაითვლებოდა *) (თუმცაღა სულო ცოდვილო არც გურულების იქნებოდა). აფრინეს ჩვენმა მთავრებმა მიწერილობა მიწერილობაზე, თხოვნა თხოვნაზე და, როგორც იქნა, ისმინეს ჩვენი ვედრება და ჩვენც ოზურგეთ-სენაკთან ერთად „რევოლიუციონურ ქალაქ ფოთათ“ გამოგვაცხადეს. ის კი არა ამ კვირაში სასიამოვნო ხმები გავრცელდა, თითქო ფოთი საკუთარ საგენერალ-გუბერნატოროთ გამოცხადდებაო. როგორც გინდა ისე თქვით და კი მართლდება ჩვენი ფედერალისტების გაზეთის ღირს შესანიშნავი სიტყვები: „ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს, დეცენტრალიზაცია აუცილებელი ლოღიკური შედეგია ცხოვრების წინმსვლელობისა“-ო.

მაგრამ სამაგიეროთ ამ გეგეჭკორის დუმაში გაგზავნით კი დავიღუპეთ კაცო. გადავყევით ნიკოლაძე-მეუნარგიას არჩევის მოწყობას და ეს მამაცხონებულები ქუთაისიდან ქე მოჩანჩალდენ უკან პირში ჩალაგამოვლებულები. ნიკობურგელთ იმდენათ არ მოსწონთ მისი (გეგეჭკორის) დეპუტატობა, რომ აზრათ აქვთ სალოყაია-კუხალეიშვილს გაასაჩივრონ იმის არჩევის „კანონიერება“.

ამასთანავე უნდა განახა ერთი აქაური პრისტავები როგორ გადაირიენ!.. ერთიმეორის ჯიბრით, რას არ შვრებიან ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის... ,,სოცია-

*) შენიშვნა: იხ. ამის შესახებ თ. სახოკიას „მეცნიერული დისერტაცია“ ფოთში ჭეშმარიტი ქართველის ხარისხის მისაღებათ, წაკითხული 1905 წელში.

ლისტობაც'' დაივიწყეს, ,,ფედერალისტობაც'' და ,,რევოლიუციონერობაც''. „თქვე დალოცვილო ან კი რატომ ასე არ უნდა მოვიქცეთ, როცა ვხედავთ, რომ დაიძინა უკვე თქვენმა ახალმა თაობამაც და მოძრაობამაცო'', ამბობენ. მაგრამ ცოტა სიფრთხილესაც არ ასტკივდება თავი; ქოთანისა და ციცხვის არ იყოს მაგათაც ისე მოულოდნელათ არ წამოადგეს თავზე ის ,,რევოლიუციააა'' თუ რაცხა, მაგინს, რომ უკვე დასამარებული ჰგონიათ, თორემ ენით აწი ვერავის გულს მოიბრუნებენ.

ამ ჟამათ ეს იყოს, ჩემო მკითხველებო და თუ ამ კვირაში არ „შემაყოლებიენ'' პოეზდით სოფლისკენ ან ეტაპით ჩრდილოეთისკენ მაშინ გადაღმა კვირაში კიდევ ბევრ ,,ახირებულ'' ამბებს გაგაგებინებ.

**მადონნა.**

---

# წერილები ეშმაკისადმი.

**ქარელიდან.** ეშმაკო! ქარელმა რა დაგიშავა. ამოდი, ამოიტანე მათრახი და უცხუნე. მაგრამ გაფრთხილებ, რომ ბოქაულ ციციანოვსაც კი აქვს მათრახი და ძლიერ ნაჩვევიც არის ხმარაში. იმასთან შეგხვდება ყოვლის უწინარეს შეტაკება და ვინძლო შენებურათ დაუხვდე.

სამწერისში თუ არ შეგეზარება ასვლა რეზო ჩრდილელისთვისაც კარგია ერთი ზურგის აცხუნება. ლეკვიაშვილსა და მამასახლის ნადირაძეს ევრე „სტროგათ" ნუ მოექცევი, თუმცა დავითმა თავის მხრივ დაზოგვა არ იცის.

**მბეჭდავი.**

—

**დვაბზუდან.** ძმაო ეშმაკო! რავა, როცა ოზურგეთიდან ბახვს მიდიხარ, ნატანების პირას რა სოფელი უნდა გაიარო არ იცი? ამას ვერ დაგიჯერებ დვაბზუ არ იცოდე და თუ დვაბზუ იცი, აღარც ის მიგეტევება ერთი ჩვენი სოფლისთვის რომ ვერ მიგიცლია. თუ კი დედამიწის ზურგზე ვისმე სჭირია შენი მათრახის კუდი, ეს უწინარეს ყოვლისა ირაკლი ბერიძეს. მართალია ამ ბოლო დროს შინ იშვიათად შეხვდები, რადგან ერთთავად ოზურგეთს მიდი-მოდის მასიკოს „კანცელარიასთან", მაგრამ სადმე გადაეყარე, თუ ხათრი გაქვს და უცხუნე ერთი ამ საკალანდოთ. აზნ. ზურაბ დათუნაიშვილი შინ დაგხვდება, მეტადრე თუ დილითი მიხვალ და თუ მან შენს წინაშე არ შეინანოს ძველი და ახალი ცოდვები, უცხუნე მაგრათ, დაუზოგველათ.

**ეწრიელი.**

—

**ქუთაისიდან.** ძვირფასო ეშმაკო! რას იკლავ თუ ძმა ხარ მაგ სირბილით თავს, ჩამოდი ქუთაისში და თუ პენსია გინდა მზათ არის. საზოგადოთ აქ კარგ პენსიებს ქალაქის გამგეობა იძლევა. სახელდობრ თუ 600 მანეთი ჯამაგირი გეძლევა, 300 მანეთ პენსიას დაგინიშნავენ. თუ 700 მანეთი ჯამაგირი, 1000 მან. მაგრამ, ძმაო ეშმაკო, ამისათვის საჭიროა ზედ-მიწევნით იცოდე „двойная теорія гамосарчени" და სხვა ამგვარები. შენ სულ ადრე გამოიცდები ამ საქმეში თუ მიმართავ ახალ და ერთ, ძველ პენსიონერებს. ადრესი ამგვარია: აბზიანიძის შესახვევი, კოდიაშვილის სახლი, ჭილაძის მოედანი, კანდელაკის ეზოს ბოლოზე.

ამასთანავე, ძმაო ეშმაკო, თხოვნაზე უეჭველათ უნდა იყვეს აღნიშნული ბ-ნი კვერკველიასაგან ნაბოძები მოწმობა ამ შინაარსისა: „предъявитель сего 70 лѣтъ отъ роду, политикой сомнительнаго свойства заниматься не будетъ". შენ ოღონდ ის „გამოსარჩენის" თეორია შეისწავლე, შემდეგ ეს მოწმობა აიღე და თუ ადგილი ვერ იშოვო ცალი ულვაში მომკნაჭე.

**ახალ-მოსული.**

—

**აბაშიდან.** ძმაო ეშმაკო!

ეს არც კალმით დაიხატვის,
და ვერც იტყვის ამას ენა,
თუ რამდენათ საჭიროა
შენი აქეთ ჩამორბენა.
„მათრახიც" თან წამოიღე
გეხვეწებით, ძმაო, ამას
და ყოვლისა უწინარეს
მაგრათ მოსცხე გეგენავას.
„ფარულ" კენჭის მოგონებით
დიდათ ისახელა თავი
და იმდენი უთავაზე,
რომ არ შერჩეს ზურგზე ტყავი.
შემდეგ, თუ არ მოგწყინდება
და მკლავი არ დაგეღლება,
ჩვენ მწერალს და მამასახლისს
უნდა ზურგის აჭრელება.

**ს. ს. ს.**

—

**ბაქოდან.** აშხ. ეშმაკო! „ქართველი საზოგადოების" გამგეობამ *) აასრულა თავისი შარშანდელი დადგენილება და „უჩინმაჩინის" ქუჩაზე ააგო 5 სართულიანი სახლი. პირველ სართულში იქნება სასადილო მხოლოდ ქართული საჭმელებით, მეორეში უფასო თავშესაფარი, მესამეში ეკლესია, მეოთხეში მღვდელ-მონაზონთა ბინა, მეხუთეში ქართული „სინემატოგრაფი" და ლექციები წელიწადში ორჯერ.

ჯერ ჯერობით ვერ გამოურკვევიათ ვინ უნდა ისარგებლოს ამ შენობით. უკანასკნელ კრებაზე ბ-ნმა გელოვანმა განაცხადა: „ჩვენ ნამდვილ ჭეშმარიტ ქართველებს უნდა დავეხმაროთო". თუმცა დაბოლოს, ბ-ნი მამულაიშვილის პატივსაცემლათ აზრი ასე შეიცვალა: „ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია ტყვილათ ვლაყბობთო".

ბ-ნ მამულაიშვილს მზე ადგილობრივ მუშებზე ამოსდის, სწორეთ ისე, როგორც ქ-ნ ანდრონიკაშვილისას. ქალბატონმა საჯაროთ აღნუსხა და გადანუსხა, რომ მუშების შემოშვება საჭირო არ არის, რადგან ისინი არცხვენენ ყველას, ვინც მათთვის ზრუნავს. მე ჩემის მხრით არც-ერთ მათგანს ადგილს აღარ ვუშოვნიო. ერთი სიტყვით ბევრი ილაპარაკეს და რაკი დაიქანცენ კრება შემდეგისათვის გადადვეს.

**დონ-ფერნანდო.**

P. S. მართლა კინაღამ დამავიწყდა, ძმაო ეშმაკო, შენ გაგეგონება ახობაძე და „სპერმატინი". რომელი მათგანი არჩენს ხალხს ეს ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ აქ საჭიროა ახობაძისთვის ერთი კასირი. ამ კასირს სადილისათვის დროს ვერ მივსცემო ამბობს „სპერმატინი", მაგრამ სამაგიეროთ თვეში 25 მანათს დავუკარქლავო. ბაქოში 25 მანათი დიიიდი ფულია! ამასთანავე იხვეწება გამოუგზავნოთ ერთი-ორი „აგათმეოფის წერილი", რადგან ბალანჩივაძის მადლობის ამდენჯერ გამეორებამ შეიძლება ხალხი ეჭვში შეიყვანოსო. აბა შენ იცი ამ თხოვნას თუ აასრულებ.

**დ. ფ.**

—

**ხვანჭკარიდან.**

შენ გევედრებით, ეშმაკო
მთელი ხვანჭკარის გლეხები,
რომ დიდი ლვაწლი იქნება
ჯიბიას თუ შეეხები.

საქმე ის არის, რომ ძნელათ მიუდგება კაცი მას, რადგან, გზაში როცა მიდის სულ აქეთ-იქით იხედება მტერი არ დამეცესო. ნიშანი ისაა მისი, რომ მუდამ თოფი ჰკიდია მხარზე და ცალი ყური აკლია.

ჩვენს სოფელში ლექსიც კი დადის ამის შესახებ: ჯიბრაილა ყიფიანი

---

*) საჭიროა იცოდეთ, რომ ვინც წევრათ ითვლება, ყველა გამგეობაშია.

კნიაზების მარშალია
და გლეხების მოძრაობით
სულ სისხლისგან გამშრალია

და სხვა ამისთანაები, მაგრამ ამას თუ ჩამოხვალ მაშინ უფრო კარგათ ჩაიწერ.

**წარიანეული.**

—

**გორიდან.** ბ-ნო ეშმაკო! გთხოვთ ამ დღეებში ჩამოიაროთ გორისაკენ და თქვენი მათრახიც თან ჩამოიტანოთ. საქმე იმაშია, რომ გორის ბოქაულს გოვოროვს. თითქმის ერთი კვირა გადის, „დახურული ბაზრის“ ყარაულები არ გაუმათრახებია და ალბათ თქვენ გელიან.

**შევარდენი.**

—

**ხონიდან.** ძმაო ეშმაკო! თუ ჩამოსვლა არ შეგიძლია ერთი ციდა მათრახის კუდი მაინც გამოუგზავნე ხონელ ხუცეს ქუთათელაძეს, თორემ მოსდგომია და უბრალო მათრახით სცემს ერთ საწყალ 60 წლის დედაბერს.

**უბედური.**

—

**ქიათურიდან.** საყვარელო შვილო ეშმაკო! შენი მათრახის ამბავმა საიქიომდინაც მოატანა და ვერ წარმოიდგენ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა.

მე ხომ მომწონს და მომწონს, მაგრამ სხვებისგანაც გავიგონე საუკეთესო მათრახიაო. აი თუნდა ქიათურელი ამბავი როგორ დაწვრილებით შეუტყვიათ.

იცი რა გითხრა შვილო? არტისტების ამბავი რომ დაგეწერა, იგი ნომერი შორაპნის პოლიციელს ჩაუვარდა თურმე ხელში და მსწრაფლ დაუდევნებია ქიათურა'ში უფროსი კამედიანჩიკისათვის: „იჯდე არ ადგე, იდგე არ დაჯდე ისე გამოქანდი ჩემკენო“. კამედიანჩიკი თურმე იდგა და გაიქცა. გაიქცა მარა პოეზდი წასული დახვდა და ფეხით იბინა შორაპნამდე.

იქ ბევრი ილაპარაკეს თურმე და ძალიან უკვირდათ ეშმაკი თუ გვიყურებდა ქეიფის დროს ჩვენ რატომ ვერ დავინახეთო. ან ის როგორ გამორჩა რომ ერთმა „არტისტკამ“ კარტში 12 მანეთი წააგოო.

ეს მეც კი მეწყინა შვილო, რომ გამოგრჩენია. ყველაფერს დაკვირვება უნდა და აწი იმედი მაქვს ასეთი მარცხი აღარ მოგივა.

ის ტყუილია, შვილო, თითქო აქ „არტისტ-პოლიციელთა“ პროფესიონალური დასი არსდებოდეს და ამ მიზნით გაეძევებიოთ ერთი ახალგაზრდა სცენის მოყვარე. რა ვუყოთ მერე თუ წარმოდგენის დროს არტისტები

არტისტკები
ბოქაული
სტრაჟნიკები ერთად ირევიან კულისებში. ეს ხომ უბრალო „ანსამბლია“? ასეთ ხმებს ადვილათ ნუ დაუჯერებ შვილო და ყველანი მადლიერნი დაგრჩებიან. ამასთანავე გაფრთხილებ ქიათურას ახლო ხანებში არ ეწვიო, თორემ მარცხი ელანძეა. მთელი ქიათურა ობობას ქსელით არის მოცული და ობობათა რიცხვიც ერთობ მრავალია. სიფრთხილე შვილო, მეტი სიფრთხილე

შენი მოსივვარულე მამა **ზოსიმე.**

—

ძვირფასო ეშმაკო?

მართალი გითხრა—არ გეპატიება, რომ კავკასიაში ცხოვრობდე და თვალ-წარმტაცი ბუნებით შემკული **კლდე-დალმართი** (ოქრხუმის მაზრა) არ გენახოს. ყველაფერი მესმის, მაგრამ შენი რისხვა არ გამიწყრეს, ეს არ მესმოდეს. მერე არ იკითხავ, ჩემო ეშმაკო, რა მდგომარეობაშია ეს მხარე? თუმცალა ტარტაროზის გული გაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ მაინც შეძრწუნდები, როცა გაიგებ, რომ ასეთ პოეზიით ალსავსე მხარეს, ურიცხვი მწიფე-მწიფე ხულიგანები ახხია. სადღაა ძმობა, ამხანაგობა, ერთობა და სხვა, რასაც ამ რამდენიმე წლის წინად შეხვდებოდი, აღარ იცი რა ქნა ღმერთმანი! (უკაცრავად ღმერთი ვახსენე,) ის ძმები და ამხანაგები ერთობას რომ უგალობდენ, ახლა ყველა ხულიგანთა ხროთ გადაქცეულა და ძალმომრეობის ღმერთს შენდობის ჰიმნს უგალობენ. ვერაფერს ვერ გააწყობ აქ კაცი და იძულებული ვართ ისევ შენ მოგმართოთ, მაგრამ რა უნდა ქნა იცი? მათრახი უსათუოთ ახალი უნდა იქნეს, მაქედან პირდაპირ ხვამლზე უნდა გადმოალაჯო, მოიმარჯვო კარგათ ფეხები და მოიქნიო რაც ძალი და ღონე გაქვს, საითაც გინდა. მე შენ გეტყვი შეცთები ულირსს მოარტყამ, იმის უფრო შენი მადლი არ გამიწყრეს. ვისაც უნდა მოხვდეს იცოდე ყველა ღირსი იქნება, ყველა თუ ხულიგანი არაა მისი პატივის მცემელი მაინცაა. ხვამლი ძალიან მაღალი მთა არის ჩემო ეშმაკო, ასე რომ **ტვიში** ხომ იქავე არის, მაგრამ **ჭორეთში**, **ვანი**, **მექვენა**, **დერჩი**, **ორხვი**, **დღნორისა**, **საჩხეური და ლეხიდრის თავიც** შენ წინ იქნება გადაშლილი. ატრიალე და ატრიალე შენი მადლიანი მათრახი, სანამ მკლავმა გაგიძლოს. ყველაზე უფრო სათვალავით ჯამსულ ასათიანს გაჰკარი, შემდეგ თუ იქნეს სახლში ნიკოს, დიანოსა ნემსაძეს რომ არ დაზოგავდე კარგს იზამ, ევნატეს, მათრახთან ერთათ, უთხარი რომ ფრთხილათ იყვეს. ირაკლის, მათრახთან, ყურიც აუწიე, ი, კაი მამა ნუ წაგიწყდება ჩემო ეშმაკო, როდესაც **კლდე დალმართლები** რიგიანათ მიამათრახ-მოამათრახო, ერთი უკანაც მიბრუნდი, ხვამლის მეორე მხარეზე **ცაგერ-ლაილაშ-ჟომხარ და ნასპერში** გადიქნიე შენი მათრახი თუ ძაან დაღალული არ იქნე. ვინ იცის შეიძლება ტარასის, გიორგის, გრამიტონს, ალექსის, კოწიას, ირაკლის, ვანო ხუცესს, რამინს, იასონს და სარიდონს გაეკრას სადმე. შენთან დარჩეს და ამბობენ გუბერნატორისთვის უთხოვნიათ: თუ ლევანი აქ შემოუშვით ე. ი. გაანთავისუფლეთ, მაშინ ჩვენ ყველანი აქედან წავალთო როგორ იტყვი არ არის საჭირო მათრახი?!

**ოტსტავნოი.**

---

## საახალწლო საჩუქარი

დიდათ პატივცემულ კნეინა ა. ა. მაჭუტაძისა ერისთავის ასულმა სამიწლის თათბირის და ყოყმანის შემდეგ საბოლოოთ გადასწყვიტა „საკალანდოთ“ ნიკოთის საზოგადოების წმინდა სისხლის გლეხებს აჩუქოს თორმეტი ათასი მანეთი ვერცხლის და ოქროს ფულები —გაძვალტყავებულ გამოხრულ გლეხებს ეს საჩუქარი ზედმეტად მიაჩნიათ, ისინი ფიქრობენ რომ ამ საჩუქარში სხვასაც უძევს წილი, თან საჩუქარს რაცხვენ უდროოდ. ამისათვის დელეგატის პირით სთხოვეს ნამესტნიკს, რათა კეთილ ინებოს და იშუამდგომლოს კნეინის წინაშე რომ მან საჩუქარი დაურიგოს არა მარტო ნიკოთელ გლეხებს, არამედ სხვებსაც და მეორეთ საჩუქარი დარიგდეს ძველი ბატონ-ყმური ჩვეულების თანახმად სანთლიღებით, როგორც გავიგეთ დელეგატს უარი ეთქვა—ვაშა კნეინა!

ბატონი ჩვენი კნეინა,
ნეტა ვინ გაგვიწყეინა?!

**ბრე.**

---

# დეპეშები.

(ლიკლიკაძის სააგენტო).

**სოხუმი.** ზუგდიდიდან დაბრუნებული სახალხო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაიმსხვრა ორი ვაგონი, ხოლო კაცთაგან არავინ დაშავებულა.

**ფოთი.** კუხალეიშვილმა უარი განაცხადა ქუთაისის ციხის უფროსობაზე განსვენებული აბშილავას ნაცვლად

**ოზურგეთი**. საგენერალ-გუბერნატორის გაუქმებამ მცხოვრებნი ძლიერ დაალონა სთხოვეს მამა დავითს კვალად შეადგინოს დეპუტაცია.

**ახალ-სენაკი**. აბშილავას უდროო სიკვდილმა ცხარე ცრემლებით ატირა ადგილობრივი „საზოგადოება“. ცომაიას თაოსნობით გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელზედაც თითონ რაინდი კითხულობდა დავითნს, როგორც ყოფილი მედავითნე.

**გომი**. ფოფოდია ლიზა დევიძისამ დააარსა საკრივო სკოლა.

**ქუთაისი**. საგუბერნიო ციხის ტუსაღები ძლიერ დაალონა მათი მამა-მფარველი აბშილავას საუკუნოთ დაკარგვამ. გამოაცხადეს 40 დღის ტრაური. მკვლელს უთვლიან მარჯვენის... (ვერ გავარჩიეთ).

**გორი**. ქალაქის მოურავმა ცერცვაძემ თვალების ტკივილისა და სიყრუეის გამო დასტოვა სამსახური და მასწავლებლათ შევიდა ადგილობრივ გიმნაზიაში.

**ლ ჩხუმი**. ლეჩხუმის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრების წინაშე გამოირიცხოს გურიის თავად აზნაურობა „კეთილშობილთა“ სიიდან, რადგანაც მათ არ ისურვეს შავ-რაზმული მამასახლისსტრაჟნიკობა.

**ჩიბათი**. ძრიელ გული დამწვა ოზურგეთის საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმებამ. მართალია ერთხელ ვიყავი ღირსება-აყრილი ციმბირიც მოვიარე მაგრამ ეხლა მაინც ვეპირებოდი მამასახლისობას, წარდგენილი ვიყავი ჯაჭვზე, აფსუს!!

აზნ. კოწია **ჭყონია**.

**ლანჩხუთი**. ვაი ჩემს დღეს, ამას რას მივესწარი, არც გაღმა ვარ, არც გამოღმა. მართალია აზნაური არ ვარ მაგრამ აზნაურისას ჩასიძებული კი ვიყავი, მამასახლისობას აღდგომის კვერცხსავით ველოდი. გააუქმეს ოზურგეთის საგენერალ-გუბერნატორო და ჩემი მამასახლისობაც გაუქმდა.

აზ. ქალის ცოლი ივ. **ხაფთასი**.

## უცხო სიტყვების ახსნა

(იხილე „ეშმაკ. მათრ.“ № 10)

**ფათერაკი**—ზოლაცეელის შეხვედრა

**ფარფალაკი** — ადმ. თერნს.

**ფარა**— სულის და გულის დასამშვიდებელი მალამო.

**ფარდა**— საზღვარი, რომლის იქით უველაფერი შესაძლებელია.

**ფარეხი** — უპარტიო გაზეთის რედაქცია

**ფარისეველი**— გულ კეთილი ადამიანი

**ფასი**—გაჭრის გულის ძგრა

**ფაფა**— მესამე დუმა

**ფაცხა**— მეგრელის სასახლე.

**ფახა-ფუხი**— გადამეტებული რევოლიუციონერობა.

**ფეთიანი**— ნერვებ—აშლილი „მწერალი“

**ფერდი**— დასაზელი ალაგი

**ფილოსოფოსი**— მეცნიერი, რომელსა არა აქვს გაზეთი იგი, სად მიიდრიკოს თავი თვისი.

**ფილიპე**— ძე ღვთისა იგი ფილიპე, ქანქარისა მოსაზიდად გარდახვეწილი უცხოსა მას ქვეყანასა.

**ფიქრი**— აკრძალული ხილი.

**ფიჩხი**— აგრარულ მოძრაობის მთავარი ძარღვი.

**ფიცხელი**— ადმინისტრატიული განკარგულება.

**ფლიდი** — ჯარტიული მელა.

**ფოთი**— ფოთი იგი ქალაქათ წოდებული, რომელ განთქმულ არს ბულვარსა ზედა ნოსეირნე თავ ცარიელ „ბარიშნებითა.“

**ფორიაქი**— ფორიაქი თავის ქალაში ძალაა გაფილოსოფოსების დროს; ფორიაქი ოთახში-ხნრეკის დროს. ორივე შემთხვევაში მდგომარეობა არა სასურველია.

**ფუნე**— ბაკურიანის ტროტუარი.

**ფუფუნება** — „უჩასტკაში“ ღამის გათევა.

**ფუჟი**—„მაღალ აზრებით“ გატენილი თავი.

**ფუშიანი** - ფეხმძიმე მიკიტანი.

**ფშვინვა**—ფუშიანის სულის თქმა

**ფშიკი**—სხვენზე გამხმარი ადამიანი

**ფხა**— ფოთელი ვირთაგვა.

**ფხაკუნი** — შეიარაღებული აჯანყება

(შემდეგი იქნება)



**პურიშკევიჩი**. ვინ ახსნა აქ კონსტიტუცია? ნუ თუ მომკლავს!!!



ჩვენი დროის ჯამბაზები.

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**მარტვილი**. მ ი ჩ ი ნ ს. მარტვილიდან ჩვენ გაზეთში იყო დაბეჭდილი თითქმის ყველაფერი, რასაც თქვენ იწერებით.

**ჭვირილა**. „კ რ ა მ ო ლ ა ს“. როგორც მახსოვს თქვენი წერილის მაგვარი ამბავიც იყო „ეშმაკის მათრახის“ ბოლო ნომერში. საზოგადოთ „ჭვირილის“ ადმინისტრაცია არც იმდენის ღირსია.

**ჩოხატაური**. შ უ რ დ უ ლ ს. რედაქციას არც მიუღია იმგვარი წერილი, როგორსაც თქვენ იწერებით და არც არავისი გაფრთხილებით გადაუჯავია. ეს თქვენი უკანასკნელი წერილი იმდენათ ვრცელია და მასთან ისეთ უმნიშვნელო საგანზეა, რომ შეუმოკლებლათ ვერ დავბეჭდავთ და ამ ნომრისათვის ვერც შემოკლება მოვასწარით.

**იარალოვის ქარხანა**. პ ლ ე ბ ე ი ს. თქვენი წერილი დაიბეჭდებოდა, სახელი და გვარი რომ ვიცოდეთ ავტორის. წერილი ინახება.

**ქუთაისი**. გ ა ტ ე ნ ი ლ ს. თქვენი ლექსი მეტის-მეტათ გატენილია ჩვენთვის უცნობი მასალით და ის რომ ეგრე ავაფეთქოთ ქუთაისის ბანკებში ალბათ დიდ მარცხს მოიტანს.

**ლ. გ.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ბათუმში**. ბ ლ ი კ ვ ა ძ ე ს. „ჩიტი ბდღვნათ არ ღირდა და უკან დევნა მეტი იყოო“, ამბობს ანდაზა და ეს სავსებით ითქმის „სურნელოვან ნიშადურზე“. ღირს განა პასუხის მიცემა? შენი წერილი მიტომ არ იბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

გამოვიდა და იყიდება
სახალხო, ქართული
**კედლის კალენდარი**
შრომის სტამბის გამოცემა.
ფასი 35 კაპ.
მყიდველებს ეთმობა 20 პრ. გამოწერა შეიძლება ნაღდ ფულზე და ფასდადებით. მთავარი საწყობი „შრომის“ სტამბაში, მიხეილის პრ., 65.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.